დისტრიბუციის ხელშეკრულება

_____ _____ 2022 **ქ. თბილისი**

შპს „_____“ (ს/ნ _____) (შემდეგში - **„დამკვეთი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____ (პ/ნ _____) სახით, ერთის მხრივ, და შპს „_____“ (ს/ნ _____) (შემდეგში - **„დისტრიბუტორი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____ (პ/ნ _____) სახით, მეორეს მხრივ, **„დამკვეთი“** და **„დისტრიბუტორი“** ერთად წოდებულნი როგორც - **„მხარეები**“, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. „ხელშეკრულების“ საგანი

1.1. **„დამკვეთი“** ავალებს, ხოლო დისტრიბუტორი ვალდებულებას იღებს მოახდინოს **„დამკვეთის“** პროდუქციის დისტრიბუცია;

1.2. **„ხელშეკრულების“** მიზნებისთვის პროდუქციის დისტრიბუცია მოიცავს:

1.2.1. **„დისტრიბუტორის“** მიერ **„დამკვეთისგან“** პროდუქციის შეძენას მისი საცალო/ საბითუმო რეალიზაციის მიზნით;

1.2.2. პროდუქციის რეალიზაციის გაზრდის მიზნით **„დისტრიბუტორის“** მიერ ქვეკონტრაქტორებისა და მარკეტინგის სხვა ინსტრუმენტების მოძიებას.

1.3. **„დისტრიბუტორი“** დისტრიბუციას ახორციელებს საკუთარი რესურსებით და ხარჯებით, ასევე ქვეკონტრაქტორების საშუალებით;

1.4. სადისტრიბუციო პროდუქციის დასახელება მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს **„ხელშეკრულების“** შემადგენელ ნაწილს;

1.5. **„დისტრიბუტორის“** მიერ **„დამკვეთთან“** შეძენილი პროდუქციის რაოდენობა და შესყიდვის ფასი **„მხარეთა“** მიერ განისაზღვრება თითოეულ მიწოდებაზე ინდივიდუალურად და ისახება **„დამკვეთის“** მიერ **„დისტრიბუტორისთვის“** გამოწერილ სასაქონლო ზედნადებში.

2. პროდუქციის გადაცემა

2.1. **„დამკვეთსა“** და **„დისტრიბუტორს“** შორის პროდუქციის თითოეული გადაცემა დასტურდება **„დამკვეთის“** მიერ გამოწერილი და **„დისტრიბუტორის“** მიერ დადასტურებული ზედნადებით. სასაქონლო ზედნადები ადასტურებს **„დისტრიბუტორის“** მიერ პროდუქციის შემოწმებისა და მისი შეთანხმებულ ხარისხში მიღების ფაქტს;

2.2. **„დისტრიბუტორის“** მიერ რეალიზაციის გარეშე დარჩენილი პროდუქციის **„დამკვეთისათვის“** დაბრუნება უნდა განხორციელდეს დაბრუნების სასაქონლო ზედნადების საფუძველზე. **„დისტრიბუტორი“** ვალდებულია პროდუქცია დააბრუნოს დაუზიანებელი ან სხვა რაიმე ნაკლისაგან თავისუფალი. ამასთან, დაბრუნებული პროდუქცია არ უნდა აღემატებოდეს მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (კალენდარულ თვეში) შეძენილი შესაბამისი სახეობის პროდუქციის ____%-ს, დანარჩენ ნაწილზე **„დისტრიბუტორი“** აანაზღაურებს მის ღირებულებას, შემკვეთისაგან შეძენის ფასის მიხედვით;

2.3. პროდუქციის გადაცემა ანდა დაბრუნება ხდება „დამკვეთის“ საწყობში შემდეგ მისამართზე:

ქ. _____, _____ ქ. N____

2.4. დანაკლისის ან დაზიანებული საქონლის დაბრუნების შემთხვევაში, დისტრიბუტორი ვალდებულია არაუგვიანეს 1 თვისა აანაზღაუროს ფულადი ფორმით ზიანი, პროდუქციის **„დამკვეთისაგან“** შეძენის ფასის შესაბამისად.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. **„დამკვეთი“** ვალდებულია:

3.1.1.ხელი შეუწყოს **„დისტრიბუტორს“** დისტრიბუციის განხორციელებაში _ დროულად მიაწოდოს შეთანხმებული პროდუქცია და დისტრიბუციისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია;

3.1.2.**„დისტრიბუტორს“** მიაწოდოს ისეთი პროდუქცია, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს;

3.1.3. **„დისტრიბუტორს“** მიაწოდოს ისეთი პროდუქცია, რომლის ნარჩენი ვარგისიანობის ვადა მისი მიწოდების მომენტში პროდუქციის მთლიანი ვარგისიანობის ვადის არანაკლებ 90%-ია;

3.1.4. დაუყოვნებლივ მიაწოდოს **„დისტრიბუტორს“** ინფორმაცია საქონლის ფასის ან დისტრიბუციის ადგილის ცვლილების შესახებ;

3.1.5. შეასრულოს **„ხელშეკრულებით“** და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3.2. **„დისტრიბუტორი“** ვალდებულია:

3.2.1. დისტრიბუციის განხორციელებით მოახდინოს **„დამკვეთის“** პროდუქციის რეალიზაცია;

3.2.2. პროდუქციის მიღების მომენტში შეამოწმოს პროდუქციის ხარისხი და რაოდენობა;

3.2.3. მკაცრად დაიცვას პროდუქციის შენახვა/გავრცელების (რეალიზაციის) წესი, ასევე კონტროლი გაუწიოს აღნიშნული წესის შესრულებას ქვეკონტრაქტორი პირების მიერ;

3.2.4. დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაახმაუროს (მიაწოდოს მესამე პირებს და ა.შ.) **„ხელშეკრულების“** საფუძველზე განხორციელებული ურთიერთობის ფარგლებში მისთვის ცნობილი/ხელმისაწვდომი კომერციული ინფორმაცია;

3.2.5. „**დამკვეთის“** მიერ წარმოებული პროდუქცია შეიძინოს მხოლოდ **„დამკვეთთან“**, ხოლო პროდუქციის არაკეთილსინდისიერი გავრცელების (ფალსიფიცირება, გაყალბება და სხვა საავტორო უფლებების დარღვევა) შეტყობისთანავე ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს შემკვეთს და იგივე ვალდებულება გაითვალისწინოს ქვეკონტრაქტორებთან დასადებ ხელშეკრულებაში;

3.2.6. შეწყვიტოს ხელშეკრულება ქვეკონტრაქტორთან, თუ ქვეკონტრაქტორი არღვევს პროდუქციის რეალიზაციის წესს;

3.2.7. შეასრულოს **„ხელშეკრულებით“** და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3.3. **„დამკვეთს“** უფლება აქვს **„დისტრიბუტორს“** მისცეს მითითებები. მითითება უნდა იყოს მართლზომიერი, განხორციელებადი და კონკრეტული. თუ **„დამკვეთის“**

მითითებების შესრულება ობიექტურად შეუძლებელია, მაშინ **„დისტრიბუტორმა“** დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ **„დამკვეთს“** და მოსთხოვოს მითითების შეცვლა.

3.4. გამონაკლის შემთხვევებში **„დისტრიბუტორს“** უფლება აქვს **„დამკვეთის“** ინტერესებიდან გამომდინარე გადაუხვიოს მითითებებიდან, თუ **„დამკვეთთან“** დაკავშირება შეუძლებელია ან მითითებიდან გადახვევის შესახებ **„დისტრიბუტორის“** შეტყობინებაზე **„დამკვეთის“** პასუხი ვერ იქნა მიღებული.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. **„ხელშეკრულება“** ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 202__წლის _____ _____-მდე;

4.2. **„ხელშეკრულება“** შეიძლება შეწყდეს:

4.2.1.**„მხარეთა“** შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

4.2.2.**„დამკვეთის“** მიერ ცალმხრივად, თუ

4.2.2.1. **„დისტრიბუტორი“** რეგულარულად არღვევს და არ ასრულებს **„ხელშეკრულებით“** გათვალისწინებულ პირობებს;

4.2.3.**„დისტრიბუტორის“** მიერ ცალმხრივად, თუ

4.2.3.1. **„დამკვეთი“** რეგულარულად არღვევს და არ ასრულებს **„ხელშეკრულებით“** გათვალისწინებულ პირობებს.

4.2.4.**„ხელშეკრულება“** ცალმხრივად წყდება მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან ___ კალენდარული დღის შემდეგ.

4.3. **„ხელშეკრულება“** შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა **„მხარეებს“**;

4.4. **„ხელშეკრულებაში“** ცვლილებების შეტანა **„მხარეებს“** შეუძლიათ წერილობითი მხოლოდ ფორმით.

„დამკვეთი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ „დამკვეთი“ _____ „დისტრიბუტორი“

_____ /_____ _____ [პ/ნ _____], დირექტორი/

„დისტრიბუტორი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ [პ/ნ _____], დირექტორი/

_____ „დამკვეთი“ _____ „დისტრიბუტორი“

#	პროდუქციის კოდი	პროდუქციის დასახელება	შენიშვნა

_____ „დამკვეთი“ _____ „დისტრიბუტორი“